

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

მემორანდუმი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “მხარეებად” წოდებულნი, ეყრდნობიან რა ორ სახელმწიფოს შორის დამყარებული ტრადიციული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების არსებობას;

იღებენ რა მხედველობაში გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის სრულყოფისა და ორივე ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო ეკოლოგიურ პროგრამებში მონაწილეობის ერთობლივი კოორდინაციისაკენ მიმართული ძალისხმევის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები ამუშავენ გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროგრამას, სტანდარტების, ნორმებისა და ნორმატივების ჩათვლით.

მუხლი 2

მხარეები თანამშრომლობენ გარემოს შესწავლაში, შესაბამისი ინფორმაციის გაცვლაში, ეკოლოგიურად საშიში სიტუაციების შესახებ ურთიერთგაფრთხილების სისტემების შექმნაში.

მუხლი 3

მხარეები ითანამშრომლებენ გარემოს დაცვის სფეროში, სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა, მონიტორინგის, საკონსულტაციო და საექსპერტო შეხვედრების ორგანიზაციის განხორციელებაში.

მუხლი 4

მხარეები ითანამშრომლებენ ბუნების გამოყენებისა და გარემოს დაცვის რეგულირების, სახელმწიფო მართვისა და სახელმწიფო კონტროლის სრულყოფის სფეროში, აწარმოებენ შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმების გამოყენების გამოცდილების გაცვლას, ორგანიზაციას გაუწევენ სპეციალისტთა სტაჟირებას.

მუხლი 5

მხარეები ითანამშრომლებენ ერთობლივ კვლევითი სამუშაოთა განხორციელების, სამეცნიერო-გექნიკური ძიების შედეგების გაცვლის სფეროებში.

მუხლი 6

მხარეები გაცვლიან მონაცემებს გარემოზე საშიში ზემოქმედების ეროვნული წყაროების შესახებ.

მუხლი 7

მხარეები კოორდინაციას გაუწევენ საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციისა და სამრეწველო ავარიების ლიკვიდაციისას ეროვნული სამაშველო სამსახურების მოქმედებას.

მუხლი 8

მხარეები განახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას გოქსიკური, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენების გადაადგილების შესახებ.

მუხლი 9

მხარეები თანახმანი არიან, რომ ყველა საქონელი, მასალა და გექნოლოგიები, შეტანილი ერთ-ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მესამე ქვეყნიდან უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ბუნების დაცვით სტანდარტებსა და ნორმებს, ხოლო ასეთების უქონლობის შემთხვევაში – ÅYC და DJP -ის ნორმებსა და სტანდარტებს. მხარეებს უფლება აქვთ ჩააგარონ საქონლის დამატებითი შემოწმება მათი ბუნების დაცვის შესაბამისობებზე მოთხოვნებთან. ერთი მხარიდან მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქონლის გრანსპორტირებისას, ასევე, საგრანზიტო გადაზიდვებისას, დაცული უნდა იქნას საერთაშორისო ნორმები და წესები, რომლებიც ეხება საშიში გვირთების გადაზიდვას. იკრძალება რადიოაქტიური, გოქსიკური და სხვა ნარჩენების შეტანა და გრანზიტო.

მუხლი 10

მხარეები ხელს შეუწყობენ საბაჟო სამსახურების ერთობლივ მოქმედებას წითელ წიგნში შეტანილი იშვიათი ცხოველების, ასევე, მცენარეებისა და მათი პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის აღკვეთაში.

მუხლი 11

მხარეები მოამზადებენ ხელმოსაწერად შეთანხმებას ეკოლოგიურად სუფთა გექნოლოგიების გავრცელებისათვის ეკონომიკური სტიმულირების შესახებ.

მუხლი 12

სადაო საკითხები განიხილება ორივე სახელმწიფოს ბუნების დაცვის ორგანოების მიერ საერთაშორისო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

მუხლი 13

ეს მემორანდუმი იდება 5 წლის ვადით და შედის ძალაში მასზე ხელმოწერის დღიდან.

მემორანდუმი ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით, თუ არც ერთი მხარე, ამ მემორანდუმის ვადის გასვლამდე, ან შემდგომი ხუთწლიანი პერიოდის გასვლამდე, ექვსი თვით არ განაცხადებს წერილობითი შეწყობინების გზით, თავის სურვილს მისი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

ეს მემორანდუმი ხელმოწერილია ქ. ტაშკენტში, 1995 წლის 4 სექტემბერი ორ პირად, თითოეული ქართულ, უზბეკურ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ამ მემორანდუმის განმარტებისათვის გამოიყენება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

უზბეკეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით